

რეგულირებული შეთანხმების მიზანი საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოში

I. შესავალი

რეგულირებული შეთანხმება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არის სრულიად ახალი ინსტიტუტი. იგი მოწესრიგებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მიღებულ იქნა 2020 წლის 18 სექტემბერს.¹

რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტის მიზნების გარკვევა მოცემულ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ სამართლებრივი ინსტიტუტის დაინიშნულებისამებრ გამოყენება და არც ის არის გამორიცხული, რომ მიზნების აღრევამ ფუნქციური აღრევაც განაპირობოს, როგორც ეს ხდებოდა დიდ ბრიტანეთში, როდესაც იგი სიახლე იყო და ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდა სამართლებრივ სივრცეში.²

რეგულირებული შეთანხმების მიზნების განხილვა კანონის მიზნებისგან განცალკევებით შეუძლებელია, რადგან აღნიშნული ინსტიტუტი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის რეალიზაციას ემსახურება.³ რეგულირებული შეთანხმება არ არსებობდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონში, ეს მოვლენა უნდა იქნეს გამოყენებული ძველი კანონის ბუნების შესაფასებლად, შესაბამისად, მისი მიზნე-

³ ამისულაშვილი ნ., რეგულირებული შეთანხმების სახელმძღვანელო, თბილისი, 2019, 13-14.

ბის წარმოსაჩენად, რაც გამოკვეთს რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტის რეალურ ფუნქციას.⁴ წინა კანონი ძირითადად ემსახურებოდა პროცესში მონაწილე მხარეთა თანასწორობას, თუმცა კონცენტრირდებოდა მხოლოდ კრედიტორის დაკმაყოფილებისკენ, მისთვის მნიშვნელოვანი არ იყო ისეთი საკითხი, როგორცაა სამართლის სუბიექტის გადარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მეწარმე სუბიექტის რეაბილიტაციის შესაძლებლობას იძლეოდა.⁵ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას კი პრაქტიკაში ძირითადად კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით იყენებდნენ.⁶

II. რეგულირებული შეთანხმების წინაპირობები

მხარეებს შორის რეგულირებული შეთანხმების დადების ძირითად წინაპირობებად შეიძლება დასახელდეს მეწარმესუბიექტის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ დადონ რეგულირებული შეთანხმება. მოსალოდნელ გადახდისუუნარობას გარკვეული პრევენციული ხასიათი აქვს და კომპანიის ღრმა კრიზისამდე რეგულირებული შეთანხმების რეალიზაციის გზით ახდენს მის გაჯანსაღებას. მოცემული წინაპირობები ახასიათებს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების პროცესს, თუმცა აღნიშნული საპროცესო ღონისძიებების რეალიზაციისათვის აუცილებელია სასამართლოსათვის მიმართვა, ხოლო რეგულირებული შეთანხმება თავისი არსით ხორციელდება მხოლოდ მხარეთა

⁴ მესხიშვილი ქ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი 2021, 14-19.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ივლისის Nას-850-794-2017 გადაწყვეტილება.

⁶ იხ., მიგრიაული რ., მოვალის გადახდისუუნარობა, როგორც ვალაულობის წარმოების წინაპირობა, ჟურნ. „ბიზნეს კურიერი“, მარტი 2011, 15-17; იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის Nას-334-319-2015 განჩინება.

შეთანხმებით. აღნიშნული ინსტიტუტი მენარმე სუბიექტის კრიზი-სიდან გამოყვანის ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა.⁷

რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტი თავდაპირველად ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთში,⁸ სწორედ ბრიტანული მოდელის მსგავსად შემუშავდა ქართული ანალოგიც. აღნიშნულის გამო რეგულირებული შეთანხმების წინაპირობები ბრიტანული მოდელის მსგავსია. აქედან გამომდინარე, საქართველოშიც რეგულირებული შეთანხმების წინაპირობა მოსალოდნელი კრიზისი ან გადახდისუუნარობაა.⁹

III. რეგულირებული შეთანხმების ამოცანები საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში

რეგულირებული შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, არის წინასასამართლო ღონისძიება, რომელიც მიმართულია დროული და ეფექტური ინტერვენციისკენ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი ღონისძიება არის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ორთვიანი მორატორიუმის ამოქმედება, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 2 თვით. მოცემული ღონისძიება ძალაში შედის რეგულირებული შეთანხმების დადებისთანავე და ვრცელდება ყველა კრედიტორზე, რაც იმას გულისხმობს, რომ კრედიტორი, აღნიშნული დროის განმავლობაში მოვალე მენარმე სუბიექტის მიმართ საკუთარ მოთხოვნას ვერ დაიკმაყოფილებს.

⁷ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის №ს-439-2021 განჩინება.

⁸ Baily E., *Voluntary Arrangements*, 2nd Ed., LexisNexis, 2007, 1-2.

⁹ ამისულაშვილი ნ., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი, 2021, 141-144.

რეგულირებული შეთანხმება მოიცავს ასევე ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელიც მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის მიზნის მიღწევას განაპირობებს. ეს არის თავად რეგულირებული შეთანხმების არსი: რეგულირებული შეთანხმების დადების შემთხვევაში, მიუხედავად ვალდებულების მოცულობისა, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალოს რეგულირებული შეთანხმების შესრულებით. რეალურად კი რეგულირებული შეთანხმებით კრედიტორები მოვალისგან მიიღებენ იმას, რასაც გაკოტრების შემთხვევაში ან შეიძლება შეთანხმდნენ სხვაგვარ განაწილებაზე. რეგულირებული შეთანხმება გარკვეულწილად სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამოდის.¹⁰

ქართულ კანონმდებლობაში რეგულირებული შეთანხმების განმახორციელებელი ღონისძიებები დიდ ბრიტანეთში მოქმედის მსგავსია, თუმცა მცირედი განსხვავებაც არის. გაერთიანებული სამეფოს 1986 წლის გადახდისუნარობის აქტის თანახმად, რეგულირებული შეთანხმების ერთ-ერთი განმახორციელებელი ღონისძიება არის მორატორიუმის ამოქმედება, ისევე როგორც საქართველოს კანონში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, თუმცა გადახდისუნარობის აქტის მიხედვით, მორატორიუმი ვრცელდება მცირე ბიზნესზე, ამ დათქმას ქართული კანონმდებლობა არ იცნობს.

რეგულირებული შეთანხმების გეგმა დიდ ბრიტანეთში სავალდებულოა იმ კრედიტორთათვისაც, რომლებსაც შეტყობინება აღნიშნულის თაობაზე არ გაეგზავნათ, მოცემულ შემთხვევაში, მსგავსი კრედიტორების უფლება გათვალისწინებულია იმით, რომ მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ შეთანხმება შეტყობინების მიღებიდან 28 დღეში.¹¹

¹⁰ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

¹¹ ამისულაშვილი ნ., გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი, 2021, 141-144.

IV. დასკვნა

რეგულირებული შეთანხმება შეიქმნა იმ მიზნით, რომ, უპირველეს ყოვლისა, გადაარჩინოს მენარმე სუბიექტი და ამით შენარჩუნებულ იქნეს და განვითარდეს საბაზრო ეკონომიკა, გახადოს ეს პროცესი დინამიკური. ამ მიზანს ემსახურება თავად „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი და დიდი ბრიტანეთის გადახდისუნარობის აქტი. რეგულირებული შეთანხმება მიმართულია მენარმე სუბიექტთა სწრაფი და ეფექტური გაჯანსაღებისკენ, ზედმეტი საპროცესო ღონისძიებების გვერდის ავლით.

ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთ მიზნად მიიჩნევა ასევე სასამართლოს განტვირთვა გადახდისუნარობის ტიპის საქმეებისგან, რაც საერთო სასარგებლო გარემოებას ქმნის იმით, რომ მხარეებს ეძლევათ თავისუფალი შესაძლებლობა, შეთანხმდნენ ვალდებულების ნაწილზე, რომლის შესრულებით მენარმე სუბიექტი გადახდისუნარობას აიცილებს თავიდან. ამ შეთანხმებით და მისი განხორციელების მიზნით მოქმედებს ის სამართლებრივი ღონისძიებები, რაც კანონით რეაბილიტაციის წარმოების გახსნის შემთხვევაში, – აღნიშნული გულისხმობს კომპანიის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაუნარიანობის რეჟიმში დაბრუნებას.